

კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის ოქმი №7

კასპი

16 მაისი 2019 წელი

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარე - დავით ლეონიძე.

თავმჯდომარის მოადგილე- ზურაბ ჯავახიშვილი

საკრებულოს ბიუროს წევრები - თეა გულიკაშვილი-ხარატიშვილი, ხათუნა თათანაშვილი, შოთა ბეგლარაშვილი, ოთარ ჭეიშვილი, ზურიკო ჩადუნელი, ალექსანდრე ბიძინაშვილი, ქიტესა ხოდელი.

დღის წესრიგი:

1. „კასპის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;“
2. „კასპის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 21 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
3. „საჯარიმო ქვითრის (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის) შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის, ფორმის, აღრიცხვის ჟურნალისა და გამოსაყენებლად უვარგისი საჯარიმო ქვითრის (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის) ჩამოწერის აქტის დამტკიცების შესახებ;“
4. „კასპის მუნიციპალიტეტის 2019 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შეფასების შესახებ;“
5. „კასპის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში №67.01.51.198 საკადასტრო კოდით ს.ს.ი.პ. საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებული ქონების ნუნუ პაპაშვილისთვის დროებითი სარგებლობის ფორმით (იჯარა) გადაცემის მიზნით კასპის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე;“
6. „ინდივიდუალური მეწარმე ლაშა გოცირიძისთვის (პ/ნ: 24001040955) ქალაქ კასპში, №67.01.35.552 საკადასტრო კოდით კასპის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული ქონებიდან 25.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობის პირდაპირი განკარგვის წესით კერძოდ, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე, კასპის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;“

7. „№67.01.35.045 საკადასტრო კოდით კასპის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული ქონების საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ს.ს.ი.პ. სურსათის ეროვნული სააგენტოთვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებითი სარგებლობის ფორმით (უსასყიდლო უზუფრუქტი) გადაცემის მიზნით, კასპის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“

დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი „კასპის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;“ მოისმინეს ხათუნა თათანაშვილის მოხსენება.

ჩატარდა ღია კენჭისყრა, რომლის შედეგად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება.

გადაწყვეტის:

მომხრე -ყველა

წინააღმდეგი -0

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი „კასპის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 21 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;“ მოისმინეს შოთა ბეგლარაშვილის მოხსენება.

კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შ.ბეგლარაშვილმა განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტით ხდება სოციალური დახმარების პროგრამაში ახალი მუხლების დამატება, რომელიც იწვევს ახალი დახმარებების შემოტანას, რაც ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯია მოსახლეობის საჭიროებების დაკმაყოფილებისთვის, თუმცა საჭიროებს სიღრმისეულ შესწავლას. კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ რიგ შემთხვევაში დახმარების ახალი სახის დამატებით და რიგ შემთხვევაში კი არსებულ დახმარების პროგრამის მუხლებში ცვლილებების შეტანით ხდება ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის გაზრდა. კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა რომ საკითხს თან არ ერთვის განმარტებითი ბარათი, რომლითაც ნათელი გახდებოდა, თუ როგორ ფიქრობს კასპის მუნიციპალიტეტის მერია დამატებითი თანხების მოზიდვას.

ბიუროს წევრებმა აღნიშნეს, რომ შემოსული პროექტით ვერ ხდება ვერც ბენეფიციართა რაოდენობის განსაზღვრა და შესაბამისად, ბიუჯეტიდან სათანადო ხარჯების არსებობა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე საკითხი საჭიროებს დახვეწას, რადგან არის მთელი რიგი კითხვები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ამიტომ საკრებულოს ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება, დროებით საკითხის შესწავლამდე მოხდეს მისი ამოღება.

ჩატარდა ღია კენჭისყრა, რომლის შედეგად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება.

გადაწყვიტეს:

მომხრე - ყველა

წინააღმდეგი -0

დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხი „საჯარიმო ქვიტორის (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის) შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის, ფორმის, აღრიცხვის ჟურნალისა და გამოსაყენებლად უვარგისი საჯარიმო ქვიტორის (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის) ჩამოწერის აქტის დამტკიცების შესახებ;“ მოისმინეს ხათუნა თათანაშვილის მოხსენება.

ჩატარდა ღია კენჭისყრა, რომლის შედეგად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება.

გადაწყვიტეს:

მომხრე - ყველა

წინააღმდეგი -0

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე საკითხი „კასპის მუნიციპალიტეტის 2019 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შეფასების შესახებ;“ მოისმინეს თეა გულიკაშვილ-ხარატიშვილის მოხსენება.

ჩატარდა ღია კენჭისყრა, რომლის შედეგად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება.

გადაწყვიტეს:

მომხრე - ყველა

წინააღმდეგი -0

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეხუთე საკითხი „კასპის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში №67.01.51.198 საკადასტრო კოდით ს.ს.ი.პ. საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებული ქონების ნუნუ პაპაშვილისთვის დროებითი სარგებლობის ფორმით (იჯარა) გადაცემის მიზნით კასპის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე;“ მოისმინეს ილია ქამხაძის მოხსენება.

ჩატარდა ღია კენჭისყრა, რომლის შედეგად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება.

გადაწყვიტეს:

მომხრე - ყველა

წინააღმდეგი -0

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეექვსე საკითხი „ინდივიდუალური მეწარმე ლაშა გოცირიძისთვის (პ/ნ: 24001040955) ქალაქ კასპში, №67.01.35.552 საკადასტრო კოდით კასპის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული ქონებიდან 25.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობის პირდაპირი განკარგვის წესით კერძოდ, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე, კასპის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;“ მოისმინეს ილია ქამხაძის მოხსენება.

ჩატარდა ღია კენჭისყრა, რომლის შედეგად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება.

გადაწყვიტეს:

მომხრე - ყველა

წინააღმდეგი -0

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეშვიდე საკითხი „№67.01.35.045 საკადასტრო კოდით კასპის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული ქონების საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ს.ს.ი.პ. სურსათის ეროვნული სააგენტოსათვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებითი სარგებლობის ფორმით (უსასყიდლო უზუფრუქტი) გადაცემის მიზნით, კასპის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ მოისმინეს ილია ქამხაძის მოხსენება.

ჩატარდა ღია კენჭისყრა, რომლის შედეგად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება.

გადაწყვიტეს:

მომხრე - ყველა

წინააღმდეგი -0

ამით საკრებულოს ბიუროს სხდომამ დაასრულა მუშაობა.

სხდომის თავმჯდომარე

დავით ლეონიძე:

